

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ”

### ა.ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

“მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი მომზადებულია “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამოქმედო გეგმის წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 დეკემბრის №623 ბრძანებულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შემუშავების ვალდებულებას სხვადასხვა ფორმის მიერ დასაქმების, გაცნობის, ტურიზმის, სწავლის, საშუაშაველო საქმიანობის განხორციელების შეთავაზებისას მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

ტურისტის, როგორც მომხმარებლის უფლებების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით დამატებითი გარანტიების შემოღება.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონის მე-6 მუხლს ემატება ახალი პუნქტი, რომლის შესაბამისად, ტურისტს უნდა მიეწოდოს ასევე ინფორმაცია იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობათა და დროებითი განერების მანძილზე სთავაზობს ტუროპერატორი ან ტურაგენტი, მოსალოდნელი საშიშროების შესახებ ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება სავალდებულოა მათი თავიდან ასაცილებლად, ტურისტული პროდუქტის მწარმოებლისა და იმ სასტუმროს შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები), რომელიც გათვალისწინებულია ტურისტული მომსახურების პაკეტით და ასევე მიმღები ქვეყნის პოლიციის, პირველადი სამედიცინო დახმარების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ტურისტის დაცვასა და უსაფრთხოებას.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის მითითებული ბრძანებულება ითვალისწინებდა ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შემუშავების ვალდებულებას დასაქმების კუთხით, პროექტის მიხედვით კანონს დაემატა ახალი ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს საზღვარგარეთ დასაქმების შემთხვევაში, დასაქმების კერძო სააგენტოს მიერ სამუშაოს მაძიებლისათვის იგივე ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას, რომელიც პროექტის თანახმად დადგენილია ტურისტული პროდუქციის რეალიზაციისათვის.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღების საკითხი: კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის ფინანსური ზემოქმედება იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს ან მდგომარეობის გაუარესებას იმ პირთათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

ბ.ვ) გადასახადების (მოსაკრებლების ან სხვა სახის გადასახადების) შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახადს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მთავრობა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) წარმომადგენლების და ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობა ასახულია შეთანხმების ფურცელში, რომელიც კანონპროექტის პაკეტს თან ერთვის.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციებს (დაწესებულებებს) და ექსპერტებს წერილობითი შეფასება კანონპროექტის მიმართ არ წარმოუდგენიათ.

დ.დ) კანონპროექტის ავტორი-პარლამენტის წევრი ლალი ფაფიაშვილი

დ.ე) კანონპროექტის ინიციატორია- პარლამენტის წევრი ლალი ფაფიაშვილი

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ცვლილებებს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში.